

## საერთაშორისო ტერმინოლოგია: თარგმნა და სტანდარტიზაცია

კონფერენციის მიზანია შეკრიბოს წამყვანი აკადემიური, სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტები, პრაქტიკოსი მთარგმნელები, სამაუწყებლო კომპანიები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო ტერმინოლოგიის თარგმნისა და სტანდარტიზაციის დარგში დაგროვილი გამოცდილების გასააზრებლად, აგრეთვე, იმ პრობლემების გამოსაკვეთად, რომლებიც ახასიათებს საერთაშორისო ტერმინოლოგიის თარგმნასა და სტანდარტიზაციას იურისპრუდენციის, მედიცინის, ადამიანთა უფლებების, სამოქალაქო საზოგადოების, განათლების, სპორტის, საერთაშორისო სამართლისა და სხვა სფეროებში.

კონფერენცია გაიმართება 2018 წლის 5-7 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონფერენციის დღის წესრიგში ჩავრთავთ ყველა მოხსენებას, რომლებიც შეეხება საერთაშორისო ტერმინების თარგმანისა და სტანდარტიზაციის პრობლემებს, ასევე –კონკრეტული შემთხვევების ანალიზსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

თეზისის მოცულობა: არა უმეტეს 400 სიტყვისა ქართულ და ინგლისურ ენებზე. თეზისს უნდა ერთვოდეს მომხსენებლის მოკლე ბიოგრაფია სამუშაო ადგილისა და ელფოსტის მითითებით.

ფორმატი: doc.

შრიფტი: Sylfaen, ზომა - 11.

კონფერენციის სამუშაო ენები: ქართული და ინგლისური.

### მნიშვნელოვანი თარიღები:

თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადა: 1 ივლისი, 2018 წელი

თეზისების რეცენზირების დასრულება - 15 აგვისტო, 2018 წელი

კონფერენციის პროგრამის გამოცხადება: 20 აგვისტო, 2018 წელი

კონფერენციის ელფოსტა: [gashol.ge@gmail.com](mailto:gashol.ge@gmail.com)

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ აღმასრულებელი საბჭოს წევრებს კონფერენციის ელ. მისამართზე: [gashol.ge@gmail.com](mailto:gashol.ge@gmail.com)

კონფერენციის სარეგისტრაციო თანხა:

100 ლარი საქართველოს მოქალაქეებისათვის. 130 ევრო სხვა ქვეყნების მოქალაქეებისათვის.

### კონფერენციის აღმასრულებელი საბჭო:

თინათინ ბოლქვაძე

მაკა თეთრაძე

ნინო აბესაძე